

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1983 წლიდან

ცაგერის სახელზე დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№154 (6379) 25 დეკემბერი სამშაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიია

20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. სესიამ იმსჯელა კანონზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ და მიიღო იგი პირველი წაკითხვით.

ვით, დამტკიცა უზენაესი საბჭოს წევრის საქმიანობის უზრუნველყოფის დროებითი დებულება, უზენაესი საბჭოს სხდომების დროებითი რეგლამენტში შეიტანა ცვლილება ასევე შეიტანა ცვლილება და დამატება რესპუბლიკის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში, უზენაესი საბჭოს სამანდატო კომისიის გარდაქმნა უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადებუტატო ეთიკის მუდმივ კომისიად, იმსჯელა უზენაესი საბჭოს სამდივნოს აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის

ნაგებობის სამანდატო კომისიის გარდაქმნა უზენაესი საბჭოს სამანდატო და სადებუტატო ეთიკის მუდმივ კომისიად, იმსჯელა უზენაესი საბჭოს სამდივნოს აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართა 1990 წლის 27 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

სესიის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის და-

მტკიცებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ;

რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო წევრის გაწვევის წესის შესახებ;

რესპუბლიკის კანონი სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩეულების შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების შესახებ;

სასამართლო რეფორმის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის კანონი იმიგრაციის შესახებ;

დებულება საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოყენების შესახებ;

დებულება საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოყენების შესახებ;

რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ (საღმართაშენი დღით დაკავშირებით).

სხვადასხვა.

ხალხის

გაღიშტება

ჩვეთვის პრემია ქართველი, ოსი

ყველაზე მეტად ხომ დედის სტიკა შეიღის სატიკი ვარი, ყველაზე უფრო ხომ მას შეუძლია შეუმსუბუქოს შვილს ღარი და ტკივილი. თითქოს ასევე ვართ საქართველო და ქართველები. თუ არა ჩვენ, ვინ უნდა დაუბნოს საქართველოს გახსნილი იარაღი, ვინ შეუხორცოს საჭიროებები? დედაშვილობასავე გადაჯაჭვულია ფიქრი ერის საკითხზე. მას შემდეგ, რაც ურთიერთობა დაიძაბა საუკუნეების მანძილზე ძმურად შეზრდილ ოსებსა და ქართველებს შორის, როგორც ყველა ქართველის და ოსი ეროვნების წარმომადგენლის, ჩემს გულშიც მოუხვედრებოდა ცეცხლი ტრაილებს. უამრავი საფიქრალი და სადარდებელი გავიჩინე ეროვნული თვითშეგნების გამოვლინებებში, პირადად ჩემში, პიროვნებაზე მალა დგას ერის სასიცოცხლო ინტერესები, მთელი არსებით მხარს ვუჭერ საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

როგორც ყველა ოსი ეროვნების წარმომადგენელს, მეც ბევრჯერ მიფიქრია ქართველთა ჰუმანურობაზე, სტუმართმოყვარეობაზე. ოსების უმრავლესობას ხომ თავი ქართველად მიაჩნია საქართველოს მკვიდრ შვილად, მისი დიდებისათვის

მებრძოლ მამულიშვილად. ყოველ შემთხვევაში ახალგორში, იგივე ქსნის ხეობაში, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, ეროვნული

თვითშეგნება წინა პლანზეა წამოწეული. მიუხედავად იმისა, რომ დედით ქართველი და მამით ოსი ვარ, დამარტყლად არასდროს მიგრძნია თავი, გარდა საქართველოსა, ჩემთვის სხვა სამშობლო არ არსებობს. ქართული სკოლა დავამთავრე, შემდეგ კი სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გავაგრძელე და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალობა მივიღე, ქართული ოჯახიც შევქმენი. მე ყოველთვის მომხრე ვიყავი და ახლაც ვამბობ, რომ ჩვენ ერთმანეთის გვერდში დგომა გვესაჭიროება და არა დაქსაქსვა და ქართული მიწის გათიშვა, რათა ყველამ ერთად, განურჩევლად ეროვნებისა ვიბრძოლოთ იმიოვნების, რომ შევქმნათ ერთიანი, სამართლებრივი და განუყოფელი საქართველო. მე როგორც ქართველი დედა, მოგუწოდებ ყველა დედას—ქართველსაც, ოსსაც, აფხაზსაც, გავერთიანდეთ და როგორც ოდიტანვე ქართველ ქალს სჩვეოდა—ვაეცატურად შევებრძოლოთ უსამართლობას, ბოროტებას, რათა დედა საქართველო სვიბედნიერი, ერთად შეგარული, დამოუკიდებელი და აყვავებული ჩავაბრთო ჩვენს მომავალ თაობას.

ციციკო მარტოშვილი-მუშკუდანი, ცაგერის კომუნალური მეურნეობის ბინათმმართველობის პედაგოგ-ორგანიზატორი.

პარტაბა ცნობილი, რომ სასოფლო საბჭოების იურიდიკაში კანონმდებლობით თავმოყრილი მართვის ბერკეტები—ეკონომიკის განვითარების, სოფლის კეთილმოწყობის, კულტურულ-ორგანიზაციული მშენებლობის, მართლწესრიგის განმტკიცების—ზნეობრივი სრულყოფისა და უფ-

ს ა ბ ზ ო მ ბ ი : მოდელი დახვეწას ითხოვს

ლბერივი სფეროების მიმართ სოფლის ცხოვრებასთან შესაბამისობაშია გადაწყვეტილი. მაგრამ მათი შესრულების გარანტი სუსტია და ყოველთვის მიზანს ვერ სწვდება ამის ძირითადი მიზეზი ფინანსური მხარეა. ბუნებრივია, ფინანსურ საშუალებებს მოწყვეტილი სასოფლო საბჭოები ვერ შესძლებენ დაეკავშირდონ სოფლის მეცხოვრება მოთხოვნები კეთილმოწყობისა და სხვა აღმშენებლობით საქმიანობაში.

სახსრების უქონლობით გამოწვეული პრობლემები დიდად აწუხებს ორბელის სასოფლო საბჭოს. ცენტრში დგას ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც სასოფლო საბჭოს ბაღანსაა. სახლი გადაუდებელ კაპიტალურ შეკეთებას ითხოვს. რემონტის თანხები არაა. ასეთ პირობებში ცხადია და გასაგები მომხდარა და მოკიდებულია ხელისუფლებისადმი.

საყველთაოდ ცნობილია, რომ 1905-1917 წლების რევოლუციის გლეხობა ჩაება იმ საბაბით, რომ ისინი დამოკიდებდნენ მიწაზე საკუთრების უფლებას. არსებობდა ლოზუნგი—„მიწა-მიწის

ცა საბჭოები, ხელისუფლების სისტემაში შედის, როგორც სოფლის გლეხობისა და ინტელიგენციის მასობრივი ორგანიზაცია, მათი ინტერესებისა და სურვილების სრული გამომხატველი. ვის უნდა ემართა მიწა, თუ არა სასოფლო საბჭოებს? უფრო მეტიც, დღემდე მოქმედებს ადრე დამკვიდრებული მანკიერი სტილი, რაც წინ ელვდება ხელისუფლების ადგილობრივ სასოფლო დაწესებულებებს და ზოგჯერ ხელსაც უშლის მიწის ოპერატიული მართვას, დროულ გამოყენებას.

ამის დასადასტურებლად ასეთი მაგალითიც გამოდგება, ლაჩანურბის თაღოვანი კაშხლის წყალმომარაგებამ გამოიწვია რა მაღალტენიანობა ორბელში, განვითარდა მეწეური, დანგრეა საცხოვრებელი სახლები, სამწუხაროდ, ეს არასასიამოვნო პროცესი კვლავ გრძელდება.

უსახლკაროდ დარჩნენ სოფლის მეცხოვრებელი—ს. ჭურციკიძე, ა. ხერგია, ს. ბურჯალიანი, გ. გვიშაიანი, ავარიულ მდგომარეობაშია გ. ბურჯალიანის, ო. ჭაბუკიანის, შ. სილაგაძის, ნ. ბახსო-

ლიანის, ს. სილაგაძის და სხვათა საცხოვრებელი სახლები. დაზარალებული მოსახლეობისათვის მათი უსაფრთხოებისა და საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის მიზნით საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა გადაუდებელი და აუცილებელია. ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელი მცირე-მიწიანობის გამო ჭერ ერთი, რომ ყველა ფართობი დაკავებულია მრავალწლიანი ნარგავებით, ესეც რომ არა დასახლების პრობლემის გადაწყვეტა ყველა შემთხვევაში დასაშვებია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ნებართვის შემდეგ.

დაზარალებული მოსახლეობა სასოფლო საბჭოსაგან ქმედით დახმარებას ითხოვს და ამ დროს სასოფლო საბჭო უძღუროს, დრო მიღის, ნერვიულობა მატულობს, სტიქია მძლავრობს, ადამიანებს რწმენა ეკარგებათ. სანამ უნდა გაგრძელდეს ცენტრის ჩარევები სოფლის ხელისუფლებაში და რატომ არ უნდა იყოს სოფლის ადგილობრივი ხელისუფლება ნამდვილი ხელისუფალი.

ასე რომ საბჭოების დღევანდელი არსი და მოდელი დახვეწას ითხოვს. სხვაგვარად კი ეროვნული მოძრაობის გარდაუვალი ეტაპზე, მუნიციპალური არჩევნების პროცესში ადგილობრივი სასოფლო საბჭო ვერ გახდება მოხერხებული და ნამდვილი ხელისუფალი, რომელმაც სოფლის ყველა სატიკარის აღმოფხვრა, ცხოვრების პრობლემათა სწორი, დროული და საქმიანად გადაწყვეტა უნდა იყოს.

გ. ჭაბუკიანი, ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

გადატანილია დასვენების დღე

ბსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შაბათის, 29 დეკემბრის დასვენების დღე გადატანილია ორშაბათს, 31 დეკემბერს.

საწარმო-ორგანიზაციების მიერ დადგენილი პარაფრაზირების კომიტეტთან შეთანხმებით იმუშაონ 1990 წლის 30 დეკემბერს. აღნიშნულ დღეს მუშაობა მხარეთა შეთანხმებით კონკრეტულად.

რეზუმი იქნება დასვენების სხვა დღის გამოყოფით ან ორშაბათ ან-აზღუდებით. მუშაის სურვილით, ეს დღე შეიძლება მიეთვალოს ყოველწლიურ კუთვნილ შევსებულებას.

სოფელი

დუმილის ქაიმა ბათავლა!

ოყურეში-ოფიზარა

ოყურეში, ორ ყურეში მზის გულზე გაწოლია მშვენიერი სოფელი. დეკემბრის დღეა, მაგრამ არ ცივია. კლდე-ფერდობებიდან თეთრი და იასამინისფერი მინდვრის შროშანები გვიღიმებენ, ყვითლად დატვირთული, ფოთოლგაძარცვული ხერმის ხეებიც აქარწყლებენ ზამთრის ასოციაციას. განსაკუთრებული სიმშაბითა მაქვს ამ სოფლისადმი, მეგონა ეს ჩემი სუბიუქტური შეხედულება იყო, მაგრამ კოლეგებიც ასე ფიქრობდნენ თურმე. თბილი, გამარჯვებული, ღია ხალხია ოყურეშელები, საოცრად ზრდილი, სტუმართმოყვარე.

თანდათან ეუბნებოდნენ სოფელს იმ ზრახვით, რომ დაველაპარაკოთ აქაურებს, შევიტყოთ მათი ჭირ-ვარაზი, ზეალის საფიქრალე, შესაქები შევაქოთ, გულ-აცრუებული გავამხნევოთ, უიმედო დავაიმედოთ, ნაღველი შევუმსუბუქოთ, მცირედი მაინც გავუკეთოთ.

გამორიცხული არაა მკითხველმა შაბლონად ჩაგვივარდოს ამ ქანრის ყოველი ჩვენი მხალა რომ გზაზე საუბრით იწყება. რას ვიზამთ, გზა მთის სიციხე-ღერძი და მამოძრავებელი, მასულდგმულბები ძარღვი.

გვესიამოვნება, რომ გზა სოფლის ცენტრამდე ნორმალურია.

საბჭოს თავმჯდომარე, ბატონმა ვაჟა ყურაშვილმა ჩვენთან საუბარი იმით დაიწყო, რომ სოფელი კმაყოფილია გზით, რომ შარშანს აქეთ დადის ავტობუსი ცაგერიდან ოყურეშის ცენტრამდე. მადლობის მეტი რა ეთქმით, მაგრამ მადლს თუ მარილსაც მოაყრიან, რომ საშვილიშვილოდ ეიქნებოდა დაეაღებოდა, გვითხრეს. მხედველობაში აქვთ ის, რომ პროექტის მიხედვით გზა უნდა მოასფალტებულიყო. ბიტუმის პრობლემა არ ეუცხოვებოდა, მაგრამ იმდენ არ კარგავენ—

ცაგერის №23 საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელობა მომავალ წელს მაინც შეასრულებს სიტყვას.

სოფელი მადლობას გამოთქვამს ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელთა მისამართით, მაგრამ იშვიათად, ბენზინის დეფიციტის პირობებში, ცდება რეისები. ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი ამ სოფლის შეილია და დარწმუნებული არიან, მაქსიმალურად შეეცდებიან თანასოფელთა საყვედური არ დაიმსახუროს.

სოფელს, განსაკუთრებით ზედა ოყურეშს, მეორე ხელმისაწვდომი გზაც აქვს ცნაურის გავლით. საგზაო სამმართველოს (ო. გიორგობიანი) ძალისხმევით გაკეთდა შიდასოფლო გზა მამარაშვილების უბანში.

სოფლის

დემოგრაფიული სკან

ოყურეში 257 კომლია 717 მცხოვრებით, 10 წლის წინ იყო 305 ოჯახი 823 სულით. აქედან ამჟამად 55 დაკეტილი კომლია. თუ 10 წლის წინ 50 ბავშვს ორ პარალელურ კლასში ითვლიდნენ, დღეს ოყურეშის საშუალო სკოლაში სულ 58 ბავშვი სწავლობს (თუმცა ამაზე ქვემოთ).

საბჭოს ტერიტორიაზე წლებულს დაიბადა 4 ბავშვი, დაქორწინდა—2 წყვილი, გარდაიცვალა 14 კაცი.

სოფელს ემსახურება პურსაცხობი, ორი შერეული მაღაზია, ერთი სავაჭრო ცენტრი, სამარიკ-მახერო. პრეტენზიულები არ არიან ოყურეშელები და ამ ობიექტების მინიმალური მუშაობითაც კმაყოფილდებიან. აქვთ ნაფთო, შაქარი, საპონიც ნორმის მიხედვით. მაგრამ ერთი კი უნდა ვთქვათ, აუცილებელია ზამთრის ამ დღეებში სოფელს მივაწოდოთ პურის ფჭვილი, რამდენადაც ამის შესაძლებლობაა, ვიდრე მშრალი ამინდებია, რომ მოსალოდნელი

დღითოვლობისას სოფელი გულ-დადებული იყოს.

მაგრამ სოფელს საწუხარიც ბევრი აქვს. ელექტროენერგია ხშირად ითიშება, იმ დღესაც (13 დეკემბერი) თითქმის მთელი დღე არ იყო სინათლე. ორი წელია არ მუშაობს რადიო. ტელეწინა, რომელიც ისუნდებოდა დგას და ოყურეშსაც ემსახურება, არ იძლევა კარგ ჩვენებას. სოფელი მოითხოვს ტელეწინა

გ პ ი ხ მ ე ბ ს წ მ ი ნ დ ა

დაიდგას ოყურეშის ტერიტორიაზე. სამკერვალო იმის გამო, რომ მკერავი არ ჰყავთ, გამოკეტილია.

იმ ზედაპირული დემოგრაფიული სტატისტიკის ფონზე, ზემოთ რომ ვახსენეთ, ჩვენ თითოეული მოვალენი ვართ დღეს მაინც მოვეფეროთ სოფელს, მოვეფეროთ და ნაბარები შევუხვიოთ ქართულ სხეულს, მის ორგანულ ნაწილს— მთასა და ბარს, მის თითოეულ გოჭს.

ვინ მოთვლის, რამდენი რამ ტკიოდა სოფელს, მაგრამ პირი წყლით ჰქონდა საფეხი, ან რომც ეყვია, ვინ მოუსმენდა. სოფელში ბავა-ბაღის საკის 30-მდე ბავშვია. განა არ ექუთვნის რაიონიდან და ცენტრალური გზიდან ასე დაშორებულ რეგიონს ერთი პატარა ბავა-ბაღი? ამ გულისტკივილზე რომ გვითხრეს, ჩვენ სოფლის ცენტრში მდებარე ყოფილი ოყურეშის კოლმეურნეობის კანტორის შენობისაკენ გავვეპარა მზერა. მშვენიერი შენობა ყოფილა, —ორსართულიანი, ეზო-ჭიშკრით, ჭურ-მარნით. ახლა კიბეამონგრეული საცოდავად იყურება.

რად დროსია სინანული. ასე ხელაღებით გააუქმეს მაშინ სოფელი, დაუკარგეს სახელი, საკუთარი ღირსება, ვინ დაეკითხა ხალხს, ოყურეშის, ზუბისა და ჩუნდურის კოლმეურნეობის ბავა-ბაღს საბჭოთა მუშურნობა ჩამოეყალიბდა, უსახელოურის ვაზის

გაშენებით გამდიდრებას პირდებოდნენ სოფელს. გამდიდრებით, იცოცხლე, ვიი ხელმძღვანელები —კი გამდიდრდნენ, მაგრამ მეურნეობა გადატყდა, მშრალე დაჭდა. ცსკურში გაშენებული 14 ჰექტარიდან უსახელოურის ვაზი ძირ-ძირით საძებარია. რაც ევანია არის, იიცი უპატრონოდაა მიტოვებული.

გული გვტკივა და გადავხვი-ეო დაწვებულს. დიას, კოლმეურნეობის შენობაში უფიქრით ოყურეშელებს ბავა-ბაღის გას-ნა, მაგრამ პასუხად ასე მიუღიათ, მეორე სართულზე რეკომენდებული არაა პატარების შეყვანაო(?!)

სასოფლო საბჭოს სად ჰქონდა

ფინანსური შესაძლებლობა ბაღი აეშენებინა, ისე კი იწვალა მის-მა ხელმძღვანელობამ, რამდენჯერმე დააყენა საკითხი ბავა-ბაღის აუცილებლობის შესახებ. ადგილი შეარჩიეს 3 წლის წინ, დააპროექტეს, ველოგური და-სკვნაც გაკეთდა. ბაღი მეურნეობას უნდა აეშენებინა საკუთარი სახსრებით, მაგრამ დღემდე არავის ვახსენებია იგი.

რაც აღარაა მოვალეობა, პასუხისმგებლობა, ცოდვა-მადლი, სოფელი ახლა ფეხზე უნდა დადგეს, მანამ არ მოსვენდეს, სანამ ბოლომდე არ მიიყვანს დაწყებულ საქმეს.

ამ ჯანმრთელიც ავაღ გახდება

სოფელს საექიმო უბანი აქვს. ტკბილ მოგონებად შემორჩენილი საუბნო საავადმყოფო 10 საწოლზე, თუმც 20-მდე ავადმყოფი სულ ჰყავდათ. ომი რომ მიძინავდა მაშინაც ასე იყო, 3 ექიმი მუშაობდა. ახლაც იგონებენ ექიმებს: აყავი თოფურისა, ილარიონ ჩიჭოვანს, ცისანა ჭლარკაძეს. გული საგულეს ჰქონდა სოფელს.

ახლა? ექიმი კი ჰყავთ უბნის, ახალგაზრდა, უნარიანი სპეციალისტი მერაბ ბურჯალიანი, ფეხს არ უდგამენ მიწაზე, კარგი ბიჭიაო, მაგრამ იმ შენობაში, სადაც სამედიცინო პერსონალია, არც მეტი, არც ნაკლები, ჯანმრთელი გახდება ავად.

საექიმო უბანს ჰქვია არ

აქვს. საბიჯლაზე (ასე, კაბიკინ სოფელში) თუ გადავხვი-ეო, მყოფმა, შენობაში შეტყდა წეს-ტი დასიძინე მაინც დაეცეს თავის დოგნოსს.

სარემონტო-სამშენებლო უბანს შარშანწინ გაუქვებია რემონტი, მაგრამ დღეს იქ წვიმა ისე ჩამოიდა, ნემსის გაცელების საშუალებაც არ არის (?!) ამავე სა-რემონტოში ჰქვიაო არაბო გაცელებული საავადმყოფოსი, მაგრამ გერაფერი შეღავათია ეს აქაური ავადმყოფებისათვის.

ამიტომ ექიმიც და ექთნებიც სოფლად არიან გასული, სახლში უწევნ უმეტესწილად მომსახურებას ავადმყოფებს.

რად დროს, მაგრამ მაინც

გვითხულობთ, ოყურეშში და სხვაგანაც რა მოტივით გააუქმეს საავადმყოფოები. ამის მიზეზების ძებნით რომ თავი ავიტყვიოთ, დღეს ალბათ უაზრობა იქნება. სოფელს ერთი საუკეთესო იდეა მოსვლია თავში, საბჭოთა მეურნეობის აღმშენებლის იდეა, შენობაში ცენტრალურ გზაზე ოთხი სოფლის—ოყურეშის, ოფიტარას, ზუბისა და მახურას ბავა-ბაღი გაიხსნას საუბნო საავადმყოფო. სოფელმა შეაგროვა ხელმოწერები, დასაბუთა საავადმყოფოს აუცილებლობა ჯანმრთელობის სამინისტროს წინაშე. ახლა საკითხის დადებითად გადაწყვეტა აუცილებელია, რომ ეს სასიკეთო ჩანაფიქრი საქმით განხორციელდეს.

სკოლაში

პატარა მაღლობზე მშვენიერი სამსართულიანი შენობა—ოყურეშის საშუალო სკოლა წმინდამარტო-ლა. თითქმის სიმბოლურადაც. რატომ? აქვე სკოლის ეზოში ძველისძველი ხე დგას. დროთა მსვლელობას მისთვის ღრმა კვალი დაუმჩნევია, ხესთან ახლოს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულებს მემორიალია აგებული. სწორედ ამ ხესთან მოიყარეს თავი ომში მიმავალმა ოყურეშელმა ვაჟბატონმა, ბევრი მათგანისათვის უკანასკნელი აღმოჩნდა ამ ხის, ზეამლის ზვიადი მთის ხილვა, 99 კაცს არ ეღირსა უკან დაბრუნება, 99 შინმოუსვლელ-

საქართველოს ენერგეტიკა:

როგორ გამოვიდეთ კრიზისიდან?

დამთავრდა ახალი, სათვალავით მეთე ენერგოლოგიის შენ-ებლობა რესპუბლიკის უდიდეს თბოსადგურში—თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში. მაგრამ, ტენერგის გამოშვებების არც ეს და არც სხვა ღონისძიება, რომლებიც უკანასკნელ ხანებში რესპუბლიკაში ტარდება, საქმარისი არ არის საქმარო ენერგეტიკული ბალანსის მისაღწევად.

—მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ სრულიადაც არა უიმედო, მაინცა საწარმოო გაერთიანება „საქტენერგოს“ გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს რევაზ არველაძეს.—ენერგეტიკის განვითარება, ისევე როგორც სხვა სამეურნეო დარგი, ადვილად

განიცდის მატებასაც და კლება-საც. მაგრამ თანამედროვე ურთი-ერთდამოკიდებულ მსოფლიოში, ყველაგან იზოლირებული ენერგოისტემის არშექმნა, ექსპლოატაციის გაუწევლობა, შეუძლებელია. საქართველო ქვეყნის ერთიან ენერგოსისტემაში შედის. ჩვენ დაკავშირებული ვართ რუსეთის სფს რესპუბლიკასთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, აგრეთვე თურქეთთან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ დღე-ღამის ყოველ წუთს შეგვიძლია იქიდან მივიღოთ ენერგია, ან გადავცეთ იგი მათ. გფონდა თუ არა ჩვენ ეს? დიან, ის ჩვენთვის აუცილებელია. ამჟამად ერთად საქმაროა აქტიურად ვიმუშაოთ საკუთარი, საქმარისად მძლავრი ენერ-

გეტიკული ზაზის შესაქმნელად. წინ ხომ რეალური, მოახლოებული სახელმწიფო სუვერენიტეტია. თითოეული საწარმოსა და ყოველი დარგის სრული ენერგეტიკული დამუშავება ბევრად იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებით იფუნქციონირებს დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო მეურნეობა. ფაქტი ფაქტად რჩება: დეფიციტი არსებობს და იგი იზრდება.

დამოუკიდებელ საქართველოს ახალი ენერგეტიკული პროგრამა სჭირდება. საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს მიერ აღრე მიღებული პროგრამა საქმით უძღური აღმოჩნდა. და უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ მისი შედგენისას მხედველ-

ობაში არ მიიღეს ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, როგორიც არის ეკოლოგიური სიტუაცია, ახლა ბევრი რამის ხელახლა გადასინჯვა ხდება.

ამჟამად საქართველოში ასულ სამი სითბური, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, საბაზო სადგურია. მათ შორის ყველაზე დიდი თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურია, რომელსაც ჩვენ სულ ახლო წარსულში „საქართველოს ენერგეტიკის ფლაგმანს“ ვუწოდებდით. ეს „ფლაგმანი“ კი უკვე კარგა ხანია მოძველდა და ძირითად განახლებას მოითხოვს. ახლა ეს განახლება დაწყებულია და საქმარისად წარმატებითაა მიმდინარეობს. სადგურის გაფართოება და რეკონსტრუქცია საშუალებას მოგვცემს 1994 წლისათვის ნიმძლავ-

რე მილიონნახევარი კილოვატით გავადიდოთ. ამ მიზნით 350 მილიონი მანეთი დაიხარჯება. მეტად დიდია საშუალოთა მოცულობა, ვადა კი შემჭიდროებულია განსაზღვრული. რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური საქართველოში გამოშვებული მთელი ელექტროენერგიის 80 პროცენტს მოჰყავს. სადგური ძირითადად ბუნებრივი გაზით იმუშავებს. აქ, მაგალითად, უკვე დამთავრდა 270 მეტრიანი კვამლსარიდი მილის ამოყვანა, რომელიც უზრუნველყოფს მიმდებარე მარის აუზის სისუფთავეს. მაგრამ ასეთი გაფართოება ან არსებობად, ახალი ენერგეტიკული ობიექტის აგება, პრობლემას არ წყვეტს. დადგა დრო პრაქტიკულად გადაწყდეს კიდევ ერთი დიდი თბოსადგურის მშენებლობის საკითხი დასავლეთ საქართველოში ქუთაისის მახლობლად.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.



ასპარეზობენ ნორჩები

21 დეკემბერს ცაგერის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონის არასრული საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობები მაგიდის ჩონგბურთში და შაშვში. მოგვყავს შეჯიბრების შედეგები:

შაშვი გოგონათა შორის კარგი მომზადება გამოავლინა და ყველა შეხვედრა მოიგო ნინო ფრუიძემ, ერთი წაგებამ მხოლოდ ესტაეტა გენიფარიანი, ხოლო მესამე—ანა მამარაშვილი (ნასპერის, დეხვირის, ჩქუმის არასრული საშუალო სკოლები).

სპორტის ამ სახეში ჭაბუკებს შორის პირველობა არავის დაუთმო კობა ქარსელაძემ, მეორე იყო დათო მამარაშვილი, მესამე—მალაზ არჩვაძე (დეხვირის, ჩქუმისა და ნასპერის არასრული

საშუალო სკოლები).

შეჯიბრებამ გამოავლინა გუნდური ადგილების მფლობელნი, სამი საჯარიმო ქულით პირველ ადგილზეა დეხვირის, 4 საჯარიმო ქულით მეორეზეა ნასპერის, ხოლო 6 საჯარიმო ქულით მესამე ადგილზეა ჩქუმის არასრული საშუალო სკოლები.

მაგიდის ჩონგბურთში შეჯიბრება მეტად სინტერესოდ წარიმართა. გოგონებს შორის პირველი იყო სოფიკო ვაჩაძე, მეორე—ელისი სილაგაძე, ხოლო მესამე—ნათია ჯიბაძე (ნასპერის, მასაშის და ალვის არასრული საშუალო სკოლები).

ჭაბუკებში უძლიერესი იყო გარი შკუბელიანი (ერთი წაგებით), მეორე ადგილზე გავიდა

ზაალ ხედაგიანი, ხოლო მესამე ადგილი გაინაღდა გავა მიქაძე (ქვედა ცაგერის, ზოგის და ალვის არასრული საშუალო სკოლები).

საბოლოოდ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: ერთნაირი საჯარიმო ქულებით პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს ქვედა ცაგერისა და ალვის არასრული საშუალო სკოლების გუნდებმა. ასევე ერთნაირი ქულები დააგროვეს და მესამე-მეოთხე ადგილებზე გამოვიდნენ მასაშისა და ნასპერის არასრული საშუალო სკოლების გუნდები.

შეჯიბრების მონაწილენი დაჯილდოვდნენ სიგელებით, გუნდები კი—დიპლომებით.

ჯ. შაჰაშულიანი.

გვამატიებს სოკოთხიკა

ახლოვდება ახალი წელი, სულ მალე მოქალაქეთა ბინებში, სკოლებში, კლუბებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში აინთება ათასწორად მორთული საახალწლო ნაძვის ხე და სხარულით აავსებს ჩვენს გულს.

მოგაგონებთ, რომ საახალწლო დღესასწაულისათვის ნაძვის ხის მოწყობისას საჭიროა მტკიცედ დავიცვათ სახანძრო უშიშროების შემდეგი წესები:

ნაძვის ხე უნდა დაიდგას ოთახის შუაგულში, მყარ სადგარზე მიწიან ყუთში, ისე რომ ტოტები არ ეხებოდეს ოთახის ქერს და კედლებს, ნაძვის ხის გასანათებად გამოყენებულ უნდა იქ-

ნეს მხოლოდ ელექტრონათურები, მის ახლოს არ უნდა იდებოდეს თბობი ნელაწყოები.

ნაძვის ხის მორთვის დროს არ უნდა გამოვიყენოთ ისეთი სათამაშოები ან მოწყობილობანი, რომლებიც სახიფათოა ხანძრის წარმოშობის თვალსაზრისით.

ნაძვის ხეზე არ უნდა დავკადოთ ადგილად აალებადი სათამაშოები, არ უნდა გამოვიყენოთ „ბერთოლეს“ მარილი, ნაძვის ხის სადგარსა და ტოტებზე დაუშვებელია ბამბის დაფენა, თუ იგი წინასწარ არ არის გაუღვნილი ცეცხლგამძლე ხსნარით. ნაძვის ხის მოწყობისას აკრძალულია ბენგალის ცეცხლის ანთება, თამბაქოს მოწევა, ელექტროშუქის მთლიანად ჩაქრობა და სადგომის გასასვლელების ავეჯით ან სხვა ნივთებით, საგნებით ჩახერგვა.

ნაძვის ხეს უნდა მოვარიდოთ ბავშვები ან მოზარდები, რომელთაც ცეცხლგამძლე ხანძრით გაუღვნიდა ბამბის, მარლის ან ქაღალდის კოსტუმები აცვიათ, ყოვლად დაუშვებელია ნაძვის ხის გარშემო ბავშვების ანთებული სათლით თამაში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სკოლაში, კლუბებში, კულტურის სახლებსა და საბავშვო დაწესებულებებში ნაძვის ხის დადგმა დასაშვებია მხოლოდ მას შემდეგ, როცა ადგილას დათვალიერება მოხდება სახელმწიფო სახანძრო ჯედამხედველობის ინსპექციის მიერ და იქნება სპეციალური ნებართვა ნაძვის ხის მოწყობის შესახებ.

წარმოება-დაწესებულებებში, სადაც მოწყობილი იქნება ნაძვის ხე, აუცილებლად უნდა იყოს მომარაგებული ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით.

დაწესებულებათა ხელმძღვანელებო, მშობლებო, გაატარეთ წინასწარი ყოველგვარი სახანძრო პროფილაქტიკური ღონისძიებანი, რათა თავიდან იქნას აცილებული ხანძრის გაჩენის შემთხვევა, რითაც თქვენ უზრუნველყოფთ საახალწლო დღესასწაულის უსაფრთხოდ და მხიარულად ჩატარებას.

ნ. ახვლედიანი,

ცაგერის ნებაყოფლობითი სახანძრო საზოგადოების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.



მარიკა იურის ასულ კანეაძის მინდია შორას ქმ მურცხვალაძის

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარულის ღვთაება ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახის მფარველი. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე თავისუფალ საქართველოში.

თანაკლასელები.

სოფო აკაკის ასულ გვირიანს სოსო რუხაინის ქმ მუშაშულიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სულ სიყვარულის გზით გველოთ. შვილთა სიმრავლე გისურვებთ. სოფო, მარინე, თენგიზ სილაგაძეები.

ნარგიზა ინდისის ასულ ხატიშვილს ჯურაბ აკაკის ქმ ბენდელიანს

გილოცავთ შეუღლებას, სულ ბედნიერი გზით გველოთ. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს. ნათელა, ბორის, თეა, ფიქრია კაკიაშვილები.

სოფო აკაკის ასულ გვირიანს სოსო რუხაინის ქმ მუშაშულიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიყვარული და ურთიერთ-ბატვისცემა ყოფილიყოს თქვენი თანამგზავრი. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ორბელის საშუალო სკოლის 1980 წლის კურსდამთავრებულები.



რომან მირონის ქმ მუშაშულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

ბია მურცხვალაძის

გილოცავთ ძმის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სახელს გაჟაკი.

ჩხუტელის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მარინე ჩანქსელიანი.

მარინე ბუხუტის ასულ ადავიძის მირზა გრიგოლის ქმ კანეაძის

გილოცავთ ქალიშვილს შეძენას. ღირსეული ქართველი ქალი გაზრდილიყოს.

სოსო, ლამარა ჭოხონელიძეები.

გიორგი ანჯორის ქმ სილაგაძის

გილოცავთ დაბადების დღეს, იხარე და იმრავლე.

ნაწული გუგავა, ელგუჯა, თემურ ლეთოდიანები.

შვილები ფაცო, ნელი, მული ოლია, სიძეები რამინ, ყურაშვილი, შაქრო კიკოლიაშვილი, თემურ მამარაშვილი, ბადრი მხეცაძე, დათო ჯაფარიძე, რძალი ფატი ბენდელიანი, შვილიშვილები ლალი, ციცო, იზო, ზაზა ყურაშვილები, ნონა, მაკა კიკოლიაშვილები, შვილთაშვილები ლევანი, ნია, ნინო, მია, ვერიკო, ეკა გიორგი, მძისშვილები ბუჭუ, ნაზიკო კოპალიანები, მძისშვილი-შვილები, დისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილიტო ბაგრატიის ასული კოპალიანი-ლიპარტელიანი.

დაკრძალვა 29 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ბარდნალაში.

შვილები დემური, დოდო, რძლები მარინე გაბიძაშვილი, ლამარა ბანძელაძე, თამარ ჩაკვეტაძე, სიძეები ოლეგ კვატაშიძე, შოთა ლიპარტელიანი, შვილიშვილები ნატო, ნინო, ჯუმბერი, გიორგი, ნაზლი ჯეგალი, მულები ლია, მარო, მძისშვილები, დისშვილები, მულისშვილები, მულისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა მიხეილის ასული აკობიძე-კოპალიანი

დაკრძალვა 30 დეკემბერს, კვირას, ქ. ცაგერში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს აპარატის მუშაკები თანაუგრძნობენ დინარა სალდინძეს დედის თამარ კორაშვილის გარდაცვალების გამო.

შვილი მერი იმედაშვილი, სიძე იორამ გიორგელიძე, შვილიშვილები მუხრანო, ნუგზარი, კახა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თეო პავლეს ასული იმანაძე-იმედაშვილი.

დაკრძალვა 27 დეკემბერს, ხუთშაბათს, ქ. ცაგერში.

ფოთოლა, ბორის კვირკაშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ მერი, იორამ გიორგელიძეებს დედისა და სიდედრის

თეო იმედაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჭიჭიკო, გურამ, თენგიზ კოპალიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსლან გალაქტიონის ქე კოპალიანი.

წიფერის კოლმეურნეობის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილიტო ბაგრატიის ასული კოპალიანი-ლიპარტელიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თეო იმედაშვილის

გარდაცვალების გამო.

მაზლი ჯეგალ კოპალიანი, მული ოლია, რძალი ლამარა ბანძელაძე, მულისშვილები ლალი, დათო, სიძე შოთა ლიპარტელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა მიხეილის ასული აკობიძე-კოპალიანი.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

უახლოესი მეგობრები მიშა ჩარკიანი, ტარზან, დემურ მეშველიანები, ზურაბ ხაბულიანი, იორამ ფუტყარაძე, ავთო კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან

ილიტო ლიპარტელიანის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შურა, გივი, ლუდვიკი, დადაში, ზურა, ომარი ბენიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინა მიხეილის ასული აკობიძე-კოპალიანი.

ჩვენ მიხმარები: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. პან. ტელეფონები: რედაქტორის—22-81, რედაქტორის მოადგილის—22-85, პასუხისმგებელი მდივნის—22-84.

სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-86, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43, სტამბის დირექტორის—22-17, საამწორო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შაბათს, შაბათს

№144

ტირუი

4488

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.